

## სიჩუმისა და ჰაუზის ეფექტი ეართულ ტრადიციულ მუსიკაში

„მუსიკა არა ნოტებში, არამედ მათ შორის არსებულ სიჩუმეშია“. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

„მუსიკა არის სიჩუმე ნოტებს შორის“  
კლოდ დებოუსი

სახლში ერთი სუფთა, ცარიელი, თუმცა სიძველისგან ფურცლებგაყვითლებული უჯრედებიანი რვეული მაქვს. ჩემ ყმანვილობაში, ერთ დღეს პაპაჩემმა დამიძახა და მაჩვენა ეს რვეული. მახსოვს, როგორი გრძნობით და სინაწლით მითხრა: „იცი, ეს ვისი რვეულია?!.. გალაკტიონის!..“ მძაფრად მეტყველი და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა „სიჩუმე“, რომელიც ამ ცარიელი რვეულის ხელში ჭრისას და მისი გადაფურცელისას „გავიგონე“ მაშინ.

„წუთიერი დუმილი“ — მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დამკიდრებული ეს რიტუალი გარდაცვლილთადმი პატივისცემის გამოხატვისა, სიჩუმის მაკონცენტრირებელი თვისებით უნდა იყოს ნაკარანახვი. სათანადო კონტექსტში სიჩუმეს კონცენტრირების თვისება ხომ ყოველთვის ჰქონდა! სწორედ კონტექსტი აქცევს სიჩუმეს მოსმენად კატეგორიად.

მუსიკის აუდირებს, თითქმის ყოველთვის, წინარე სიჩუმე ახლავს. ეს დროითი და სივრცითი სუბსტანცია შეგვიძლია ტილოს, სუფთა ფურცელს შევადაროთ, რომელზეც მხატვარი გრაფიკულ თუ ფერწერულ კომპოზიციას ქმნის.

მუსიკალურ ნაწარმოებში სიჩუმე (პაუზა) მრავალგვარი შეფერილობის მქონე მხატვრულ-კომპოზიციურ ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს. სხვადასხვა დროში, ეპოქაში სიჩუმეს განსხვავებული დატვირთვა, სიხშირე ჰქონდა. სიჩუმე, როგორც კომპოზიციური ელემენტი მუსიკის ისტორიაში მუდად არსებობდა, მაგრამ რაც აქეთ მოვდივართ, მით მატულობს ამ უხმო ელერადობის მნიშვნელობა და ინტენსივობა.

სანამ ჩემი მოხსენების ძირითად ნაწილზე გადავალ, მსურს სიჩუმესთან, პაუზასთან დაკავშირებული სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე ნიმუშის ფრაგმენტი გაეიხსენო კლასიკური მუსიკიდან. მომენტი „Agnus Dei“-დან ბახის სი მინორული მესიდან (ვიდეომაგ. 1); პაიდნის სიმებიანი კვარტეტი ოპ.33 №2, მეოთხე ნაწილის დაბოლოება (ვიდეომაგ. 2); ვებერნის პიესა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის ოპ.33 №3 (ვიდეომაგ. 3).

ალბათ თქვენც გახსენდებათ სიჩუმის შემცველი სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოები (ჯონ კეიჯის ცნობილი 4'33"-ის ჩათვლით), თუმცა უნდა ითქვას, რომ კლასიკური მუსიკის ისტორიაში სიჩუმის შემცველი თხზულებების რიცხვი, როგორც ჩანს, უმისოდ შექმნილ კომპოზიციებთან შედარებით, ძალიან მცირეა. შესაძლოა, ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი სიჩუმის, როგორც მუსიკის კვლევის მინიჭებულება ნაკლებად შესწავლისა (მოხარული ვიქენები, თუ მიმითითებთ ამ საკითხისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ მუსიკოლოგიურ ნაშრომში).

ამჟამად ვეცდები სიჩუმისა და პაუზის ფენომენის განხილვას ქართულ ტრადიციულ მუსიკაში. საინტერესოა, რა სახით, ფორმითა და დატვირთვით გვხვდება იგი როგორც ხალხურ სიმღერაში, ისე მრავალსაუკუნოვან სამხმან საეკლესიო გალობაში.

სიჩუმე, როგორც უნისონურ, ისე მრავალმიან ფაქტურაში, ყველა ხმაში ერთ-დროულ (ანუ გენერალურ) პაუზას გულისხმობს. ზოგადად, ვოკალურ მუსიკაში და, მათ შორის, ქართულ ტრადიციულ ხმიერ მუსიკაში, რომლის სტურქტურული ერთეული — მუხლი — ე.წ. დამუხლებით სრულდება, რაც მუსიკალური წინადაღების დაბოლოვებას გულისხმობს, სიჩუმე-პაუზა ბუნებრივი და წვეული სეგმენტია. მუხლის ბოლოს, საკადანსო აკორდის (ან ინტერვალის) შემდეგ სუნთქვის აღება ყველა ხმაში აუცილებლად ხდება. მაგრამ, საინტერესოა, ყოველთვის ერთგვაროვანია, იგი? გრძელი მუხლის შემთხვევაში შუა ნაგებობაში, ცეზურის სახით, მოკლე პაუზები ფიგურირებს. ასეთი ცეზურები სხვადასხვა ხმას განსხვავებულ დროს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არცთუ იშვიათად იგი ყველა ხმაში ერთდროულად გვხვდება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ისეთი გენერალური ცეზურა-პაუზები, რომელთაც არა მხოლოდ ჩასუნთქვის ფუნქცია აქვთ, არამედ კომპოზიციურ ელემენტად შეიძლება იქნეს განხილული.

მაგალითად ავილოთ სვანური სიმღერა „პაილ ბეთქილ“ (მაგ. 1). ამ ორპირული საფერხულო სიმღერის ყოველი მუხლი გენერალური ნახევრიანი პაუზით ორად არის გაყოფილი. პაუზამდე უნისონური მეოთხედი (ლა) ბგერა კი უღერს, თავისი გლისანდირებული, ე.წ. „შპრეხგეზანგე“-ს (Sprechgesange) ტიპის ბგერით, მაგრამ იგი მუხლის დასასრულად კი არ ალიქმება, არამედ მუხლის დამასრულებელი ფრაზის მომზადებად. ეს ნახევრიანი პაუზა ყოველ მუხლში აუცილებლად გვხვდება, რაც ამ ფერხულში მის კომოპოზიციურ დანიშნულებაზე მეტყველებს (აუდიომაგ. 1).

სხვა სვანურ სიმღერებშიც გვხვდება მსგავსი პაუზები, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იგი, ზოგადად, საფერხულო სიმღერებისთვის არის დამახასიათებელი. საინტერესოა, რომ სიმღერებისთვის, რომლთაც თავად სვანები საგალობლებს უწოდებენ, რადგან შინაარსობრივად ღვთის ან წმინდანებისადმი არის მიძღვნილი, გენერალური პაუზები საკმაოდ დამახასიათებელი ჩანს. საეკლესიო გალობისგან ეს საგალობლები როგორც ტექსტობრივად, ისე მელოდია-ჰარმონიით საგრძნობლად განსხვავდება, მაგრამ საერთო თვისებად შეიძლება ჩათვალოს მკვეთრი მეტრული საზომის უქონლობა. ჯერ ნარმოგიდგინთ ფრაგმენტს წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი საგალობლიდან „ჯგრიაგიშ“ (მაგ. 2). დამწყების ფრაზა პაუზით არის გამოყოფილი გუნდის სათქმელი ნანილისგან, რომელშიც გენერალური პაუზა, აյ მოცემულ ფრაგმენტში, შვიდჯერ გვხვდება. ზოგი ნახევრიანი გრძლივობისაა, ზოგიც მეოთხედი და არცერთი მათგანი საკადანსო აკორდს არ მოსდევს, რითაც, პაუზების მიუხედავად, მუსიკალური აზრის უწყვეტობის ეფექტი იქმნება (აუდიომაგ. 2).

საინტერესოა, რა სურათი გვაქვს ამ მხრივ ქართულ საეკლესიო გალობაში. ჩვენამდე მოღწეულ ძველ სანოტო ხელნაწერებში მუხლის შუა ნაგებობაში, არასაკადანსო მომენტში პაუზები ძალიან იშვიათია, და განსაკუთრებით კი, სამივე ხმას ერთად რომ ჰქონდეს გამოხერილი, თითქმის არ გვხვდება. სიმართლე რომ ვთქვათ, არც მუხლის დაბოლოებისას შეგხვდებათ პაუზა ხშირად, თუმცა საკადანსო აკორდის შემდეგ, მით უმეტეს იმ აკორდებზე, რომელზეც ფერმატა არის დასმული, პაუზა გამონერის გარეშეც ნაგულისხმებია მგალობელთათვის. მაგრამ ჩნდება საკითხი: მართლა უცხოა გალობისთვის მუხლის შუა ნაგებობაში პაუზა?

ამ კითხვაზე პაუზეს ქართული გალობის ჩვენამდე მოღწეული აუდიონიმუშები უფრო გაგვცემს, ვიდრე სანოტო ხელნაწერები. დაკვირვებისთვის მოვიტანთ ლაზარეს შაბათის ძლისპირის „სიყვარულმან მოგიყვნა უფალო“-ს სამ ძველ აუდიოჩანაწერს (ექომაშვილი 1988; თერთმეტი მარგალიტი 2004; პირველი ფონოჩანაწერები 2006), რაც ურთიერთშედარების და გარკვეული კანონზომიერების გამოვლენის შესაძლებლობას გვაძლევს.

ძმები ერქომაიშვილების მიერ შესრულებული ამ საგალობლის პირველივე მუხლში გვხვდება სამივე ხმაში ერთდროული (გენერალური) მეოთხედი პაუზა (აუდიომაგ. 3, მაგ.

3).

ნელი ტემპის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ თვით ეს მუხლი გრძელი არ არის და სავსებით შესაძლებელი იყო იგი ერთ სუნთქვაზე თქმულიყო, ან რიგრიგობით მაინც გადანაწილებულიყო ცეზურები ხმებს შორის. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პაუზა არა მხოლოდ ცეზურის როლს, არამედ გააზრებულ კომპოზიციურ ფუნქციას ასრულებს. საინტერესოა, იმავე საგალობლის დანარჩენ ორ ვერსიაში ამ მხრივ თანხვედრა არის თუ არა! ჯერ ვნახოთ დიმიტრი პატარავას, ვარლამ სიმონიშვილისა და არტემ ერქომაიშვილის 1949 წლის ჩანაწერი კრებულიდან „თერთმეტი მარგალიტი“ (მაგ. 4, აუდიომაგ. 4).

როგორც ვხედავთ, აქაც, ამ ვერსიაშიც ანალოგიური სურათია (პაუზის გრძლიობაში სხვაობა — პირველ ვერსიაში მეოთხედი იყო, ხოლო აյ მერვედია — იმით არის გამოწვეული, რომ ორჯერ მცირე ზომის ნოტებით არის ჩანერილი „თერთმეტი მარგალიტის“ ნიმუში.)

მესამე ვარიანტი, 1909 წლის ჩანაწერიდან, სამუელ ჩავლეიშვილის, ბესარიონ ინწყიოველისა და ვარლამ სიმონიშვილის შესრულებით, იგივეს გვიდასტურებს. რაც ამ პაუზის კომპოზიციურ დატვირთვას საბოლოოდ ამტკიცებს (აუდიომაგ. 5).

სამივე წარმოდგენილი აუდიორანაწერი დასავლეთ საქართველოს, კერძოდ შემოქმედის სკოლის ნიმუშია. საინტერესოა, რა სურათი გვაქვს ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო შტოში? უნდა ითქვას, რომ ამ ტრადიციის ძირითად წყაროში, ძმები კარბელაშვილების სანოტო კრებულებსა და ხელნაწერებში, პაუზა საერთოდ უიშვიათესად შეგხვდებათ, მით უმეტეს შუა ნაგებობაში, მაგრამ ძალიან ხშირია ცეზურის აღმნიშვნელი მძიმები, რომელიც, როგორც წესი, სამივე ხმაში ერთად არის გამოწერილი (მაგ. 5). ამ „მძიმების“ მნიშვნელობას ვასილ კარბელაშვილი „მწუხრის“ კრებულის შესავალში ასე განმარტავს: „დიდი იმედი გვაქვს ჩვენ კაეტისა ... უნდა გულმოდგინებით ადგევნებდეს თვალყურსა, (,) [მძიმეს] — სადაც უნდა სული მოიბრუნონ, (,) [ტაქტის ხაზს] — სადაც მუხლი თავდება, (,) ფერმატოს“ (კარბელაშვილი 1898, გვ.XII). ციტატიდან პირდაპირ ჩანს, რომ ეს მძიმები ცეზურის მნიშვნელობისაა. თუმცა, კარბელაშვილების ჩანაწერებში ცეზურათა მონიშვნის მიხედვით ყველა მათგანზე სუნთქა სამივე ხმამ რომ აიღოს, ამდენჯერ „სულის მობრუნების“ საჭიროება ნამდვილად არ არის, რადგან ასეთ შემთხვევაში გალობა ძალიან დანაწევრებული, „დაჩეხილი“ გამოვა. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მძიმებით მონიშნულია ის ადგილები, სადაც მგალობელს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ცეზურით სარგებლობა. ეს საშემსრულებლო ტექნიკური ხერხია. ამდენად, კომპოზიციური ელემენტის მნიშვნელობით ამ ცეზურებს ვერ განვიხილავთ.

ადსანიშნავია, რომ ქართლ-კახურ ხალხურ სიმღერებში, იმ ნიმუშებშიც კი, რომ-ლებიც გაბმული, ბურდონული ბანით იმღერება, უცხო არ არის პაუზის ყველა ხმაში ერთდროული გამოყენება სწორედ მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით. ამის ნიმუშებად წარმოგიდგენთ ქართლური „მეტიურის“ და კახური „გრძელი მრავალებაზერის“ ფრაგმენტებს: (აუდიომაგ. 6, 7).

ეს გვაფიქრებინებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს გალობის ტრადიციულ შესრულებაშიც შესაძლოა ყოფილოყო მსგავსი მომენტები, რამაც სანოტო ჩანაწერებში დაზუსტებული ასახვა ვერ ჰქონება.

ე.ნ. გენერალური პაუზების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობისა და აკუსტიკური ეფექტის მქონეა პაუზის არა ყველა, არამედ ერთ ან რამდენიმე ხმაში ეპიზოდური გამოყენება. ეს განსაკუთრებულად შესამჩნევია ქართულ საეკლესიო საგალობლებში, რომლისთვისაც სამხმანობა, ხალხური სიმღერისგან განსხვავებით, აუცილებელ ხორმას, წესს წარმოადგენს. პაუზების ფალკეულ ხმებში ეპიზოდურ გამოყენებაზე როცა ვსაუბრობთ, რაც ზოგადად იშვიათი მოვლენაა, ვგულისხმობთ დასავლეთ საქართველოს

სამგალობლო ტრადიციას, რადგან მსგავსი მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოს საგალობელთა კრებულებსა თუ ხელნაწერებში ძნელად მოსაძებნია. მეტიც, მუხლის ბოლოს გამოწერილ პაუზებსაც კი უიშვიათესად ვხვდებით ამ ხელნაწერებში. ერთადერთი გამონაკლასი, რომელიც მე შემხვედრია არის 1863 წელს ქიზიუში, სოფელ კისისხევში მცხოვრები დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ჩანს რიცხვილი საგალობლების ხელნაწერში არსებული ორმაგად უწვეულო შემთხვევა (ჩიჯავაძე 1863). კერძოდ, კვერექსის საგალობელი „უფალო შეგვინყალენ“ ორჯერ ზედიზედ გადაბმით არის მოცემული, რაც დღევანდელ ღვთისმსახურებაში არსად გვხვდება. გადაბმის ფუნქციას კი ასრულებს მთქმელის პარტიაში გამღერებული სოლო ფიგურაციული მელოდია. მოძახილს და ბანს ამ დროს პაუზები უწერია (მაგ. 6, აუდიომაგ. 8).

ცალკეულ ხმებში პაუზების შემთხვევები, როგორც ვთქვით, უფრო დასავლეთ საქართველოსთვის არის დამახასიათებული. ამის ცნობილი მაგალითია „ქრისტე აღსდგა“ ფილიმონ ქორიძის სააღდგომო კრებულიდან (ქორიძე 1895, გვ.2), რომლის შუა ნაწილში, მცირე პაუზის შემდეგ, გალობას მხოლოდ ზედა ხმები აგრძელებენ, ხოლო ბანი ორი ტაქტის შემდეგ უერთდება მათ (მაგ. 7, აუდიომაგ. 9).

ამ მხრივ მეტად საინტერესო ნიმუშები გხვდება გელათის სკოლის ე.ნ. ჭრელ საგალობლებში. კერძოდ, ექვთიმე კერესელიძის „მწუხარის“ საგალობელთა დიდ ხელნაწერ კრებულში (ხელნ. Q-672, გვ.21-22) მოცემულია დავითინის პირველი ფსალმუნის მუხლებზე აგებული ჭრელი ტაქტის საგალობელი „ნეტარ არს კაცი“ (მაგ. 8). იგი ასე იწყება: „ნეტარ არს კაცი, ალილუა, რომლი არა მივიდა ზრახვასა ულმრთოთასა, ალილუა, ალილუა, ალილუა, და გზა ულმრთოთა წარწყმდეს“. გალობა ჩვეულებრივ, სამ ხმაში ულერს, მაგრამ მარცვალი „და“ ნოტებში გამოწერილია მხოლოდ მთქმელის, ზედა ხმის მიერ სოლოდ სათქმელ ფრაზა-მუხლთან. ამ მომენტში მოძახილისა და ბანის პარტიიებში პაუზებია გამოწერილი. როგორც ჩანს, აქ საგალობლის გამშვენებისთვის უცნაური და უწვეულო კომპოზიციური ხერხია არჩეული, სადაც ხმათა მიძრაობის გართულებისა ან პარმონიული გამდიდრების ნაცვლად, ერთი ხმის დატოვებით შექმნილი გამჭვირვალე ფაქტურული ეფექტის მილნევა სურდათ ლოტბარ-მგალობლებს (აუდიომაგ. 10).

თქვენს ყურადღებას შევაჩირებ სამეუფეო ლიტურგიის საგალობელზე სახელწოდებით „ულინე“. დღევანდელი საღვთისმახურო პრატიკიდან ეს საგალობელი ამოღებულია. იგი რვა წუთზე მეტასან გრძელდება. სტრუქტურულად ცხრამეტი მუსიკალური წინადადებისგან, მუხლისგან შედგება, რომელთა უმრავლესობა ე.ნ. „შესვლა-დის კაანსით“ ბოლოვდება. ხოლო ტექსტი ამ საგალობელში მხოლოდ ერთი სიტყვით — „ულინე“-თი არის წარმოდგენილი. ამ უნიკალური თავისებურების გარდა, ჩვენთვის საინტერესო ამ საგალობლის ორი ფრაგმენტი, რომელიც, ასევე, იშვიათ და უწვეულო ელემენტებს შეიცავს. კერძოდ, პირველ ფრაგმენტში ორი ფრაზის შემდეგ გალობას ზედა ხმა სოლოდ გამღერებული ბერებით იწყება (მაგ. 9, აუდიომაგ. 11).

ხოლო მეორე ფრაგმენტში, პირველი მუხლის ბოლოს, ე.ნ. „შესვლადის კადანსს“, რომელსაც ბოლო ბერები ზედა ჩვეულებრივ, მთქმელის ხმა გამოეთიშება ხოლმე, ამ შემთხვევაში მოძახილიც აკლდება და მხოლოდ ბანის ხმა ასრულებს მას. ხოლო შემდეგი მუხლი ორ ხმაში — მთქმელისა და ბანის დუეტით იწყება. შემდეგ მოძახილიც ერთვება და შესვლადის კადანსის ტიპური სახით ბოლოვდება (მაგ. 10, აუდიომაგ. 12).

ცალკეულ ხმაში ეპიზოდური პაუზები ხალხურ სიმღერებში უფრო ხშირი მოვლენაა, ვიდრე გალობაში. ამ შემთხვევაში ხშირად მას რიტმული ფუნქცია აქვს. ხოლო ასეთი რიტმული კომპინირების მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გურული სიმღერა გამოირჩევა.

სიმღერა „ჩვენ მშვიდობის“ 1967 წლის ჩანაწერში ზედა ხმებს ძმები აროშიძეები მღერიან, ხოლო ბანს ანანია ერქომაიშვილი ასრულებს. ერთ მომენტში, სადაც ჩვეუ-

ლებრივ სამივე ხმა მღერის, ბანი მოულოდნელ პაუზას აკეთებსა და მხოლოდ შემდეგი ტაქტის ბოლო თვლაზე აგრძელებს მღერას, რაც ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც ამ სიმღერის მანამდე უკვე ბევრი ვარიანტის შემსწავლელისთვის (მაგ. 11, აუდიომაგ. 13).

გურული სიმღერის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი სიმღერა „ინდი-მინდი“, და მისი კვარტკვინტაკორდით დასრულების ორიგინალურობა. გარდა ამისა, ამ სიმღერის მოსმენისას ყურს ძნელად გამორჩება მომენტი, როცა მოძახილი და მთქმელი მორიგეობით იღებენ მოკლე, მოწყვეტილ ბგერებს, რომლითაც ხალისიან და იუმორნარევ განწყობას ქმნიან. ამ შთამბეჭდილების შექმნაში, ზედა ხმების მოკლე პაუზებთან ერთად, თავის ფუნქციას ასრულებს ბანის ხმაში ორთვლანახევრიანი პაუზაც (მაგ. 12, აუდიომაგ. 14).

მსგავსი მაგალითების მონახვა კიდევ შეიძლება. აქვე დავის, რომ ქართულ ტრადიციულ მუსიკაში მსგავსი ეფექტების გარკვეული შემოფარგლულობისა და არცთუ ხშირი გამოყენების მიუხედავად (და, ალბათ, სწორედ ამიტომაც) იგი ყურადღებას, დაკვირვებასა და წარმოჩენას იმსახურებს, რაც ამ მოხსენების მიზანს წარმოადგენს.

ცოტა ხნით კვლავ კლასიკურ მუსიკას დავუპრუნდები. გუსტავ მალერი თავის მეორე სიმფონიის შესახებ მეგობარ დირიჟორს, იულიუს ბუტსს წერილში მიმართავს: „პირველი ნაწილის შემდეგ უნდა იყოს დიდი პაუზა, რათა მსმენელს მიეცეს შესაძლებლობა გონება მოიკრიბოს, განეწყოს [მეორე ნაწილისთვის]“ (იგივე მითითება აქვს ამავე სიმფონიის IV და V ნაწილებს მორის „ანტრაქტზე“).

მინდა წარმოგიდგინოთ სიმფონიის ამ მომენტის ჩანაწერი, მსოფლიო მასშტაბის, აღიარებული დირიჟორის, კლაუდიო აბადოს შესრულებით (ვიდეომაგ. 4).

გამიჩნდა კითხვა: ავტორის მიერ ნაწილებს შორის დაწესებულ დიდ პაუზაში „ორკესტრის აწყობის“ ასეთი გათამაშება უფრო შეესაბამება ავტორისეულ მითითებას, თუ სრული სიჩუმის შენარჩუნება?!?

ტრადიციულ იაპონურ კულტურასა და ხელოვნებაში, მათ შორის, მუსიკაში არსებობს სპეციალური ტერმინი, უფრო ზუსტად კონცეპტი, სახელწოდებით „მა“, რაც ცარიელი სივრცის, ცარიელი შეალენდის მხატვრულ ინტერპრეტაციას გულისხმობს.

ქართულში ამ კონცეპტის ვერბალური ანალოგი არ მოგვეპოვება, მაგრამ მუსიკალური მგონი სრულად შესაბამისობაშია ის ნიმუშები, რომელიც ახლა მსურს წარმოგიდგინოთ. პირველია — სვანური დატირება „ლილ ჭალ“ (აუდიომაგ. 15) და მეორე — ფშაური მთიბლური „გრგვინგა“ (აუდიომაგ. 16).

დასასრულს, მოხსენების დასაწყისის მსგავსად, კვლავ გალაკტიონს მოვიხმობ. თავის გენიალურ ლექსში „მთაწმინდის მთვარე“, რომლის სააგტორო აუდიოჩნანერი, უდავოდ, შედევრს წარმოადგენს, პოეტთა მეფე ბოლო სტრიქონის წინ შეყოვნებას, პაუზას იყენებს, რომელიც პოეზიასა და მუსიკას შორის მჭიდრო კავშირს კიდევ ერთხელ ადასტურებს და (ცხადყოფს სიჩუმის „ულერადობის“ მაღალმხატვრულ გამომსახველობას (აუდიომაგ. 17)).

### აუდიომაგალითები

1. „ბაილ ბეთქილ“ — ანსამბლი „რიპო“, ჩაწერილი კარლ კინიქის მიერ, ლენჯერი, 2014
2. „ჯგრიაგიშ“ — ანსამბლი „რიპო“, ჩაწერილი კარლ კინიქის მიერ, ლენჯერი, 2014 აუდიომაგ.
3. „სიყვარულმან მოგიყვანა“ — ძმები ერქომაიშვილები, ფირფიტიდან „არტემ ერქომაიშვილი“, შემდგ. ანზორ ერქომაიშვილი, თბ. 1988
4. „სიყვარულმან მოგიყვანა“ — დიმიტრი პატარავა, ვარლამ სიმონიშვილი, არტემ ერქომაიშვილი. 1949. ჩამწერი — ვლადიმერ ახობაძე. დისკიდან „თერთმეტი მარგალიტი“. შემდგ. დავით შულლიაშვილი, თბ. 2004.
5. „სიყვარულმან მოგიყვანა“ — სამუელ ჩავეიშვილი, სამუელ ჩხიცევიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი. კომპაქტდისკების კრებულიდან „ქართული ხალხური სიმღერა. პირველი ფონოჩანან-ერები - 1901-1914“. შემდგენ. ანზორ ერქომაიშვილი, ვახტანგ როდონაია.
6. „მეტიური“ ქართლური — სანდრო კავსაძის გუნდი, 1937.
7. „მრავალუმიაერ“ — ართანის გუნდი. 1952. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების ფონოარქივიდან
8. „უფალო შეგვიწყალენ“ — დავიდ ჩიჯავაძე-მიხაილოვის ხელნაწერებიდან. ანსამბლი „ან-ჩისხატი“.
9. „ქრისტე აღსდგა“ — ფირფიტიდან „აღდგომასა შენსა“ ანჩისხატის გუნდი. 1991.
10. „ნეტარ არს კაცი“ — Q673 ხელნაწერიდან. ანსამბლი „ანჩისხატი“.
11. „ულხინე“ — ფილიმონ ქორიძის ლიტურგიიდან. თბილისის სამების საკათედრო ტაძრის გუნდი. (წყარო: <https://soundcloud.com/trinity-cathedral-choir/for-archibishops-1>)
12. იქვე.
13. „ჩვენ მშვიდობა“ — ძმები აროშიძეები და ანანია ერქომაიშვილი, 1967. კრებულიდან „გრიმო და ქართული სიმღერა“, თბ. 2018.
14. „ინდი-მინდი“ — კრებულიდან „შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. გურული სიმღერები. თბ. 2004.
15. „ლილ ჭალ“ — სვანური დატირება. სეფერა გულედანი, ლენჯერი. 1960. თსკ-ის ხალხური შემოქმედების ფონოარქივიდან.
16. „გრგვინვა“ — ფშაური მთიბლური. იაკობ ნაყეური, 1964. თსკ-ის ხალხური შემოქმედების ფონოარქივიდან.

17. გალაკტიონ ტაბიძე — „მთაწმინდის მთვარე“. 1915.  
**ვიდეომაგალითები**

1. ი. ს. ბახი — სი მინორული მესა, “Agnus Dei” — <https://www.youtube.com/watch?v=tdLCcQix-Nvg>
2. იოზეფ პაიდნი - სიმებიანი კვარტეტი №2, IV ნაწილი - Presto <https://www.youtube.com/watch?v=zpeQKGoV8ew>
3. ანტონ ვებერნი -სამი პატარა პიესა, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის, Op 11. №1. <https://www.youtube.com/watch?v=BzYBLDyKyYo>
4. გუსტავ მალერი - სიმფონია №2, - დირიჟორი კლაუდიო აბადო. ლუცერნის ფესტივალის ჩანაწერი, 2003. <https://www.youtube.com/watch?v=4MPuoOj5TIw>

### **გამოყენებული ლიტერატურა**

კარბელაშვილი, ვასილ. (1898) საერო და სასულიერო კილოები, ტფილისი: ექ. ივ. ხელაძის სტამბა.

ქორიძე, ფილიმონ. (1895) — ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის. გადაღებული ფილომონ ქორიძის მიერ. თფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამბ.

ჩიჯავაძე, დავით. (1863) წირვის საგალობლები, ჩანტერილი დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი სხვადასხვა №50.

კერესელიძე, ექვთიმე. „სრულიად წელინადსა შინა სახმარებელი რვა ხმა აღდგომის სამწუხრო საგალობლი. გადაწერილი ექვთიმე კერესელიძის მიერ“. ხელნაწერი Q-672. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.